

2021 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ვოსაკი“

შპს“ვოსაკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია	5
1. მომზადების საფუძველი	6
2. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა	6
3. შემოსავალი	10
4. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი	10
5. ადმინისტრაციული საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები	11
6. ფინანსური ვალდებულებები	11
7. მოგების გადასახადის აღრიცხვა	11
8. ფულადი სახსრების აღრიცხვა	11
9. დივიდენდების აღრიცხვა	12

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	2944992	2839760
საქონლის გაყიდვიდან	2944992	2839760
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-128666	-41630
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2816326	2798130
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2660000	-2850000
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-7513	-7513
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-39120	-127108
სულ საოპერაციო ხარჯები	-2706633	-2984621
საოპერაციო მოგება	109693	-186491
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-89941	205458
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	500
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	19752	19467
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	19752	19467
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	19752	19467
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6464898	6908613
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0

კაპიტალის სხვა ცვლილებები	-460358	-463182
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6024292	6464898

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2657536	1987295	1810268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	4041184	4536051	5040863
სხვა მოკლევადიანი აქტივები	430	349	1195
ბიოლოგიური აქტივები	1150	1150	1150
თვითღირებულების მოდელით	1150	1150	1150
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	98400	105913	113426
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	59705	59705	59705
სულ აქტივები	6858405	6690463	7026607
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5346	9210	2561
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	828235	216355	114855
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0

სხვა ვალდებულებები	532	0	578
სულ ვალდებულებები	834113	225565	117994
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	413469	413469	413469
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1831767	1812014	1792547
გადაფასების რეზერვი	3779056	4239415	4702597
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	6024292	6464898	6908613
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6858405	6690463	7026607
სულ მოკლევადიანი აქტივები	6699150	6623695	6852326
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	834113	225565	117994

დირექტორი



გიორგი ჩხენკელი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვოსაკი“ ს/კ 204413376 რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 2000 წლის 11 მაისს. რეგისტრაციის ნომერია 06/4-353.

საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნამალაძევის რაიონი, ცოტნე დადიანის II მიკრორაიონი, კორპუსი 2, ბინა 174 . საწარმოს ფაქტიური მისამართია: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. ნაკვეთი 06/012.

შპს „ვოსაკი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა. საზოგადოებას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია 2000 წლის 12 მაისი.

საზოგადოების დამფუძნებელი 100% წილის უფლებით არის „ვოსაკ ლიმიტედი“ HE 295433 /კვიპროსი/.

შპს „ვოსაკი“-ს დირექტორი არის გიორგი ჩხენკელი პ/ნ 01019019930.

საზოგადოებას 2021 წლის 16 იანვრიდან მინიჭებული აქვს არაკვალიფიციური დღგ-ს გადამხდელის სტატუსი.

1. მომზადების საფუძველი

1.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

1.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია, ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე, ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

1.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, ანგარიშგებაში რიცხვები დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

2.1 აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმის მიხედვით, დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით, ელექტრონულად, საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“-ს მეშვეობით. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო

აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე/მოკლევადიანი და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარე აქტივს მიეკუთვნება მაშინ, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში;
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიანი ვალდებულებების კატეგორიას მიაკუთვნებს.

2.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილი უნდა იქნას საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

31.12.2019	1 აშშ დოლარი - 2,8677 ლარი
31.12.2020	1 აშშ დოლარი - 3,2766 ლარი
31.12.2021	1 აშშ დოლარი - 3,0976 ლარი

შემოსავალი

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება:

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოღება ან გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

2.3 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად.

შესაბამისად, საწარმოს იჯარიდან მიღებული შემოსავლები, ასეთის არსებობის შემთხვევაში - შემოსავალში აისახება შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

საზოგადოებას 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში საიჯარო ურთიერთობები არ ჰქონია არც შემოსავლების და არც ხარჯების კუთხით.

2.4 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვისას გაწეულ ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს: შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში, 2010 წელს არის აფასებული საზოგადოების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, რადგან, საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობის პირობებში იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. შენობა 100 წელი
2. ნაგებობა 10-15 წელი

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მათი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოიანგარიშება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება საზოგადოების მოგება-ზარალში.

2021 წელი

ქონების დასახელება	საბალანსო ღირებულება	ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
მიწა	4595756		4100889

შენიშვნა-ნაგებობები	105913	7513	98400
ჯამი	4701669	7513	4199289

მიწის ღირებულება შემცირებულია მისი გაყიდვის ხარჯზე.

2.5 არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივები არ ერიცხება.

ბიოლოგიური აქტივები

საწარმოს ერიცხება 1150 ლარის ბიოლოგიური აქტივი.

2.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟო და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც საჭიროა მარაგების გამოსაყენებელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ ერიცხება.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს სათანადო მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება ძირითადად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

2.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები.

ასეთის არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების

შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.
საანგარიშგებო პერიოდში აქტივების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

2.9 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

2.10. სავაჭრო მოთხოვნები

შპს „ვოსაკი“-ს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან მიღებული თანხები. შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და აგრეთვე, წლების წინ ძირითადი უძრავი ქონების - მიწის ნაკვეთის აფასებით შექმნილ სარეზერვო კაპიტალს.

3. შემოსავალი

დასახელება	2021 წელი
შემოსავალი გაყიდვებიდან	2944992
სხვა შემოსავალი	0
სულ შემოსავალი	2840260

4. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

დასახელება	2021 წელი
საკურსო სხვაობა	67934
სულ:	67934

5. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

დასახელება	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	2660000
კომუნალური გადასახადები დენი, წყალი, ბ/აირი	6602
ბანკის საკომისიო	2121
საგადასახადო ხარჯი	5499
საშუამავლო და სხვა მომსახურების ხარჯი	112057
საკურსო სხვაობა	157875
სულ ხარჯები	2944154

6. ფინანსური ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის საწარმოს ერიცხება მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები.

დასახელება	2021 წელი
ვალდებულება პერსონალის მიმართ	5878
ვალდებულება მიღებული ავანსებით	828235
სულ:	834113

7. მოგების გადასახადის აღრიცხვა

2017 წლიდან მოგების გადასახადით დაბეურის ახალი წესის ე.წ. „ესტონური მოდელის“ შემოღებასთან დაკავშირებით, საწარმოებს წლიური შედეგების მიხედვით მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება აღარ ეკისრებათ, მანამდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება. 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ მოგების განაწილებას ადგილი არ ჰქონია. 2021 წელი საწარმომ დაამთავრა 19752 ლარის მოგებით.

8. ფულადი სახსრების აღრიცხვა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ძირითადად მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით, გამონაკლისს წარმოადგენს კომუნალური გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ოპერაციები, შესაბამისად, არ მოქმედებს სალაროს სისტემა.

9. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი



გიორგი ჩხენკელი